

პროგრამის შინაარსი

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური, 4-8 ტაქტი), რიტმი (მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობები, პაუზა), დინამიური ნიუანსები (Forte, Piano, Crescendo, Diminuendo), ტემპი (Allegro, Adagio, Presto, Moderato), მეტრი (ორწილადი, სამწილადი), კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

სიმღერა:

- სიმღერა თანხლებით;
- ერთხმიანი და მარტივი ორხმიანი სიმღერები, საბავშვო, ხალხური სიმღერები, მელოდიები პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "ცანგალა და გოგონა", "მუმლი მუხასა", "მოხვეის ქალო თინაო", "ვისია, ვისია ქალი ლამაზი"; ჯ. კახიძე - "მზის სიმღერა"; მ. აროშიძე - "კანფეტების თოვლი", ი. ბობოხიძე - "გოგო ანა"; ა. ბასილაია - "ცისარტყელები", "სოფლის მაშენებლები"; ჯ. კახიძე, ვ. კახიძე - "ალილო"; ვ. გოკიელი - წითელქუდას სიმღერა; გ. ცაბაძე - "საათი"; მ. დავითაშვილი - "პატარა გუგული"; გ. ჰუსეინი - "Cücelirim" ("ჯუჯალარიმ"); ვ. შაინსკი - "От улыбки"; ლ. ბეკმანი - "В лесу родилась ёлочка"; რ. როჯერსი - "The Lonely Goatherd"; შოტლანდიური სიმღერა - "My Bonnie" და სხვ.

განწყობილების გადმოცემა:

- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით, ცეკვით, თამაშით;
- ეტიუდების შესრულება.

მუსიკალური დამწერლობა:

- ვიოლინოს გასაღები;
- სანოტო ნიშნები ხუთხაზიან სისტემაზე;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი გრძლიობის ნოტები.

მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემპრი;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა, Presto - ძალიან ჩქარა, Moderato - ზომიერად;

- დინამიური ნიუანსები: Forte - ხმამაღლა, Piano - ხმადაბლა, crescendo - ხმოვანების გაძლიერება, diminuendo - ხმოვანების შესუსტება;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, ანსამბლი, დუეტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

მუშაობის ფორმები:

- ჯგუფური, წყვილში, ინდივიდუალური.

ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი;
- სკოლის საანგარიშო კონცერტი.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია შესწავლილი და მოსმენილი ნაწარმოებების შესახებ: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორი;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- ხელოვნების დარგების გაცნობა: მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, პოეზია, მწერლობა... ამ დარგების კონკრეტულ პროფესიებთან, ადამიანებთან დაკავშირება.

საკრავები:

- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტების ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით, მაგალითად: ჭიბონი, ჩანგი, დაირა, ჰობოი, ზარები, კონტრაბასი, სამკუთხედი.

რეკომენდებული მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები ქართული და უცხოური ნაწარმოებებიდან, საბავშვო მუსიკალური პროგრამული პიესები, ფრაგმენტები ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან, მაგალითად, დასაკრავი ჩონგურზე, "ქართლური მრავალჟამიერი"; "თებრონე მიდის წყალზედა", "მორბის არაგვი", საგალობელი "ღმერთი უფალი"; ზ. ფალიაშვილი - კიაზოს სცენა და მოწოდება ხალხისადმი "თავისუფლება" ოპერიდან "დაისი", ცეკვა "ქართული" ოპერიდან "აბესალომ და ეთერი"; დ. არაყიშვილი - აბდულ არაბის არიოზო, დუეტი

რუსუდანთან და ცეკვები ოპერიდან "თქმულება შოთა რუსთაველზე"; აფხაზური სიმღერა "სალუმან ახაწა" (ანსამბლ "ნანინას" შესრულებით); ნ. სულხანიშვილი - "მესტვირული"; ჯ. კახიძე - "იავნანა" კინოფილმიდან "იავნანამ რა ჰქმნა", ი. ს. ბახი - ბრანდენბურგის კონცერტი #2, III ნაწილი – ბლოკფლეიტა, ჰობოი; დ. სკარლატი - სონატა, K. 159, დო მაჟორი; ა. ვივალდი - "გაზაფხული", I ნაწილი, კონცერტების ციკლიდან "წელიწადის დრონი"; ვ. ა. მოცარტი - უვერტიურა ოპერისათვის "ფიგაროს ქორწინება"; ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო კონცერტი #1, III ნაწილი; ე. გრიგი - "დილა" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; კ. დებიუსი - "თოჯინების კეკ-უოკი"; ი. შტრაუსი - "რადეცი მარში" და სხვ.